



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია ,  
ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
31 აგვისტო 1 სექტემბერი 2022  
დასკვნის წარდგენის თარიღი

24 ოქტომბერი, 2022

თბილისი

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი,	ახალი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თარიღი)	
---------	--

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კვიციანი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლევიშვილი შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ფუტყარაძე, სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია დაგეგმილია, რომ განხორციელდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში. წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შესაბამისად, აკრედიტაცია არ აქვს მიღებული.

პროგრამის განხორციელების ენა არის ინგლისური. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი 0714.1.1. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი): სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 156 კრედიტი; არჩევითი საგნები 30 კრედიტი, საუნივერსიტეტო სავალდებულო 30 ECTS; თავისუფალი 24 ECTS.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია დარგის თანამედროვე მიღწევებს, ამზადებს სპეციალისტებს რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან შრომით ბაზარზე.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს საქართველოს უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს. იქამდე განხორციელდა წინა წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება.

ვიზიტი წარიმართა ორი დღის განმავლობაში დღის წესრიგის შესაბამისად. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა დამაბულ გარემოში, უნივერსიტეტის პროგრამის ერთერთ ხელმძღვანელის მხრიდან ადგილი ჰქონდა უპატივცემულო დამოკიდებულებას ექსპერტთა ჯგუფის და ცენტრის წარმომადგენლების მიმართ. ისმოდა უადგილო მოსაზრებები და ვლინდებოდა აგრესია, ფსიქოლოგიური ზეწოლა.

მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველ, მესამე, და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებაში დაიწერა 10 რეკომენდაცია და 7 რჩევა, ერთი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებაში, დაწებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი გავეცანით აღნიშნულ დოკუმენტს, სადაც დაწესებულება ძირითადად გვეთანხმება დაწერილი რეკომენდაციების შინაარსსა და საფუძვლიანობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დასკვნას ტოვებს უცვლელი სახით.

#### ▪ რეკომენდაციები

- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს

ელექტრონულ და კომუნიკაციების ინჟინერიაზე

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით.
- საგანი სიგნალების დამუშავება ისწავლებოდეს მათემატიკური აპარატის გავლით.
- საგანს სასიგნალო პროცესორები წინაპირობად განესაზღვროს, ციფრული ელექტრონიკა.
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსის მოძიება

- სასწავლო კურსებში აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები.
  - მოხდეს სასწავლო კურსების შესაბამის პროგრამებით უზრუნველყოფა.
  - სწავლება–სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო საგანთან და აისახოს სილაბუსის თემატიკაში.
  - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში და საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურა საკმარისია მხოლოდ 2-3 სტუდენტის მისაღებად. აუცილებელია არსებული აპარატურის დამატებითი ეგზემპლარების შეძენა.
  - აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview).
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
    - სასურველია მოწვეული პერსონალის ინფორმირება სასწავლო პროცესების შესახებ
    - გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა კავშირი სტუდენტებთან და უზრუნველყოს სტუდენტებისათვის შესაბამისი შეხვედრები და ინფორმაციის მიწოდება.
    - გაიზარდოს სტუდენტების დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში.
    - მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური პერსონალისათვის მათი ვალდებულებების ახსნა განმარტებას.
    - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გასააქტიურებელია ELSEVIER-ის და EBSCO-ს ბაზები ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტატიების pdf ვერსიების ჩამოტვირთვა.
    - სასურველია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ანალოგიურ ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებთან შედარება და ანალიზი, რადგან უფრო მკვეთრად მოხდეს აღნიშნული პროგრამის აქტუალურობის და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. ასევე, სასურველი იქნება მოხდეს არსებული პროგრამის შეფასება დარგის სხვადასხვა ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მიერ, პროგრამის დახვეწის მიზნით.
    - გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, სასურველია მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება.
  - საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
    - ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს სპეციალურად სტუდენტებისთვის შექმნილ idealab ელექტრონიკის ლაბორატორიას. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სახარჯი მასალებისა და ელექტრონული კომპონენტების დროულ შეძენას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ის ცოდნა და უნარები, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს და შემდეგში კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პროფესიის მიხედვით დასაქმების.

პროგრამის მიზანია ასევე დარგის განვითარება კვალიფიციური კადრების მომზადების შედეგად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში პროგრამის შექმნა/განვითარების ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია სტანდარტის მოთხოვნები და პროგრამის მიზნები ასეა თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული:

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის განვითარებას კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კონკურენტული უმაღლესი განათლება და უნარები. საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია სტუდენტს ჩამოუყალიბოს საფუძვლიანი საინჟინრო უნარები ელექტრონიკის, კომპიუტერული ინჟინერიისა და კომუნიკაციის მიმართულებით. მისცეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიებში, სისტემებისა და პროცესების პროექტირებისა და რეალიზების, მარტივი პროგრამული კოდის შედგენის, სხვადასხვა საინჟინრო დამათემატიკური ამოცანის ანალიზისა და ინოვაციური ტექნოლოგიური აზროვნების უნარი, პროექტის შესრულებაში მონაწილეობის რეალური გამოცდილებით გამოუმუშავოს გუნდურ მუშაობის უნარი. პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ ელექტრონულ, კომპიუტერულ, სატელეკომუნიკაციო და ენერგეტიკულ კომპანიებში, სამთავრობო ორგანიზაციებში, ბანკებში და სხვა კერძოკომპანიებში, სადაც ელექტრონული ინჟინერიის სპეციალისტის კომპეტენციაა საჭირო. სკოლის მიერ მოწოდებულ პროგრამაში დამატებითი შეთავაზებების სახით ინტეგრირებული საერთაშორისო

სასერტიფიკაციო კურსები, როგორცაა Cisco, Microsoft, Oracle Academic, iOS სასწავლო კურსები, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ საერთაშორისო სერთიფიკატები.

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, თუმცა კარგი იქნებოდა მეტი ფოკუსირება ისევე როგორც შედეგებში. ელექტრონიკის და კომუნიკაციების საკითხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია
- საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:</p> <p>კომპლექსური საინჟინრო ამოცანების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაჭრა ფიზიკის, მათემატიკის, ინჟინერიის საფუძვლების გამოყენებით.</p> <p>საინჟინრო პროექტის გამოყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>ეფექტური კომუნიკაცია აუდიტორიასთან.</p> <p>ინჟინრულ საქმიანობაში ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღიარება და დასაბუთებული დასკვნების მიღება, რომელიც ითვალისწინებს საინჟინრო გადაწყვეტილებების ზემოქმედებას გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვითსა და სოციალურ კონტექსტზე</p> <p>ეფექტური მუშაობა გუნდში, რომლის წევრები ერთობლივად უზრუნველყოფენ ლიდერობას, ჰქმნიან თანამშრომლობის ატმოსფეროსა და ინკლუზიური გარემოს, ისახავენ მიზნებს, გეგმავენ და ასრულებენ ამოცანებს.</p> <p>საჭიროებისამებრ შეიმუშავოს და ჩაატაროს ექსპერიმენტი, გაანალიზოს და დაამუშავოს მონაცემები და დასკვნების გამოსატანად გამოიყენოს ინჟინრული შეფასება.</p> <p>საჭიროებისამებრ შეიძინოს და გამოიყენოს ახალი ცოდნა სათანადო სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით.</p> <p>პროგრამის შვიდივე შედეგი არის ძალიან ზოგადი, სადაც არ არის გათვალისწინებული კონკრეტული დარგის ან სფეროს ამ შემთხვევაში ელექტრონული ინჟინერიის და კომუნიკაციის მიმართულებით კონკრეტულად. არ არის გაზომვადი და ართულებს დარგის მახასიათებლებთან საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის განსაზღვრას. შედეგად არ იძლევა ინფორმაციას დაინტერესებული პირებისათვის.</p> <p>აუცილებელია სწავლის შედეგებში დარგის მიმართულებით გარკვეული კონკრეტულის შეტანა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს ელექტრონულ და კომუნიკაციების ინჟინერიაზე .</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე</li> </ul>

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შემდეგი სახით.</p> <p>პროგრამაზე მიიღებიან უცხოელი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება საზღვარგარეთ ან მისი ეკვივალენტი და ბოლო ორი წლის სრული ზოგადი განათლება, სწავლობდნენ საზღვარგარეთ ან სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებიც ამჟამად სწავლობენ საზღვარგარეთ კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების მიხედვით (2011 წლის 29 დეკემბერი) პროგრამაში მონაწილეობა მიმღებ ქვეყნებს შეეძლება ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების გარეშე. თუ განმცხადებელს არ აქვს ინგლისური ენის სერთიფიკატები FCE-ში (პირველი სერთიფიკატი ინგლისურ ენაში), მან უნდა გაიაროს ინგლისური ენის B2 დონის საუნივერსიტეტო ტესტი (60% დადებითი შეფასება).</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს საჭიროა დაემატოს მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა ეროვნული გამოცდებით ვერ ჩააბარებ აღნიშნულ პროგრამაზე, რაზეც ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ზედმეტი შეზღუდვაა. გარდა ამისა, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად, ვთვლით, რომ უმაღლესი განათლების მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წინაპირობად განსაზღვრა პროგრამაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა</li> <li>• საბაკალავრო სწავლების დებულება</li> <li>• ვებ-გვერდი <a href="http://www.ug.edu.ge">www.ug.edu.ge</a></li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით.</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>· საუნივერსიტეტო სავალდებულო 30 ECTS;</li> <li>· პროგრამის ძირითადი 168 ECTS;</li> <li>· პროგრამის არჩევითი 30 ECTS;</li> </ul>
--

<p>· თავისუფალი 12 ECTS.</p> <p>კრედიტები გადანაწილებულია საუნივერსიტეტო სავალდებულო, პროგრამის ძირითადი , პროგრამის არჩევითი და თავისუფალი კრედიტები. კრედიტების გადანაწილება შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას ის უნდა იყოს თანმიმდევრული და ითვალისწინებდეს მომდევნო სწავლის კომპონენტების შინაარსს და იყოს მასთან ლოგიკურ ბმაში, უზრუნველყოფდეს ამ კომპონენტის შესწავლისთვის წინაპირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამას მივიღებთ როგორც საგნების კონგლომერატს. წარმოდგენილ პროგრამაში რიგ საგნებთან მიმართებაში არ არის გათვალისწინებული და დარღვეულია წინაპირობების ჯაჭვი.</p> <p>პროგრამით ისწავლება საგანი “სიგნალების დამუშავება” რომელიც თავის შინაარსით მოითხოვს ფურიეს გარდაქმნის , ფურიეს სწრაფი გარდაქმნის , ლაპლასის და z გარდაქმნების ცოდნას . ამ საგანის წინაპირობაში არსად გვხვდება მათემატიკა .</p> <p>პროგრამით ასევე ისწავლება საგანი “სასიგნალო პროცესორები” საერთოდ წინაპირობების გარეშე . მოცემული საგნის შესწავლა მოითხოვს ციფრული ტექნიკის საფუძვლების ცოდნას, პროგრამირების უნარებს .</p> <p>პროგრამაში შემავალი საგნებისთვის არ იყო წარმოდგენილი სწავლის შედეგების სიღრმეების რუქა. თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნული რუქა გამოვითხოვეთ და მოგვაწოდეს შესაბამისი დოკუმენტი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>•პროგრამა</li> <li>•სილაბუსები</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>საგანი სიგნალების დამუშავება ისწავლებოდეს მათემატიკური აპარატის გავლით.</p> <p>საგანს სასიგნალო პროცესორები წინაპირობად განესაზღვროს, ციფრული ელექტრონიკა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა</li> </ul>

o

### შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაში ყველა სასწავლო კურსი არის 6 კრედიტის მოცულობის რაც ნიშნავს, რომ ყველა სასწავლო საგანს ეთმობა თანაბარი დრო. რაც ბუნებრივია საგნის ათვისებისათვის გამოყოფილი დროის მიმართ აჩენს კითხვებს. ასევე სილაბუსებში თითქმის არსად არ არის გაწერილი ლაბორატორიული სამუშაო, დავალება ან სალექციო თემის მოკლე აღწერილობა. სილაბუსებში არ არის შეფასების კრიტერიუმებიც. დაწესებულებამ წარმოგვიდგინა საერთო დოკუმენტი კრიტერიუმებისათვის. სტუდენტისთვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება ეს ინფორმაცია აისახოს სილაბუსში . სასწავლო კურსები ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი პროგრამებით. მაგ. სილაბუსში მითითებულია მათლაბი/MATLAB. ხოლო უნივერსიტეტში არ არის დაინსტალირებული არც ერთ კომპიუტერზე.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტების გამოკითხვა თუ რას შეცვლიდნენ , დაამტებდნენ კურსში და რა იყო მათთვის საინტერესო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

<p>რეკომენდაციები:</p> <p>სასწავლო კურსებში აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები.</p> <p>მოხდეს სასწავლო კურსების შესაბამის პროგრამებით უზრუნველყოფა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იდეალაბი სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლო განხორციელონ თავიანთი იდეები პრაქტიკულად. ასევე არის გამოგონებების ცენტრი სამეცნიერო და კვლევითი პროექტების რეალიზებისთვის.</p> <p>პროგრამაში გატვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი. სტუდენტს პრაქტიკა სეუძლია გაიაროს დასაქმების ადგილზე თუ ის მუშაობს შესაბამისი მიმართულებით.</p> <p>რაზეც გასაუბრების დროს არინიშნა, რომ ძალიან მოსახერხებელია.</p>

<p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს . რაც ძირითადად პრაქტიკული პროექტის მომზადებას გულისხმობს და ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.</p> <p>ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტებს აქვთ სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობა, თუმცა აქაც შეიძლება იყოს რესურსების რაოდენობრივი პრობლემა და ამ ყველაფრით შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ აქტიურმა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებმა.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა</li> <li>• პროექტები (სტუდენტური პროექტები, საბაკალავრო პროექტები)</li> <li>• idealab ელექტრონიკის ლაბორატორია; საკომუნიკაციო ტექნოლოგიების</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტებში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია. თუმცა იმის გამო, რომ სილაბუსებში არ არის გაწერილი პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები ძნელია იმის თქმა რამდენად ხდება მითითებული “სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება, და როგორ ხდება კომპონენტის შინაარსს ათვისების მიღწევა.

მაგ. საგანში „ანტენების თეორია და დიზაინი“ მითითებულია ლექცია და სემინარი სწავლება-სწავლის მეთოდებში: ინტერაქტიული ლექციები, ვიზუალური ლექციები, კრიტიკული ანალიზი, ლექცია-სემინარები, წიგნზე, მუშაობის, მეთოდი, პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში.

სილაბუსში სულ გაწერილია კვირების მიხედვით მხოლოდ ლექციები. სად და როდის ტარდება პრაქტიკული კომპონენტი სილაბუსის მიხედვით გაუგებარია. ამავე დროს არ არის ამ საგნის ლაბორატორიული და პროგრამული უზრუნველყოფა.

საგანში „რადიოლოკაცია და ნავიგაცია“ 33 საათი გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, უნივერსიტეტში არ არის ამ საგნის ლაბორატორია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- ინტრვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო საგანთან და აისახოს სილაბუსის თემატიკაში.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული და სასწავლო კურსით დადგენილი პროცედურების მიხედვით (60% შუალედური შეფასება და 40% ფინალური შეფასება). შეფასების ფორმებია ქვიზი, კოლოქვიუმი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული დავალება. გამოკითხვის სახე შეიძლება იყოს წერითი, ზეპირი, კომპიუტერული გამოცდა, პრაქტიკული დავალება.</p> <p>შეფასების კრიტერიუმები არ არის აღწერილი კონკრეტულ სილაბუსებში. სტუდენტს საშუალება აქვს, საკუთარი ჩემი UG სისტემის პროფილიდან მიიღოს ინფორმაცია ნაშრომის შეფასებაზე, იხილოს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით იხილოს ლექტორის კომენტარები. ინტერვიუს დროს სტუდენტის UG პროფილზე არ ჩანდა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები ის თუ რა აქტივობაში რა შეფასება მიიღო მან.</p> <p>სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს ნამუშევარი და მიიღოს დასაბუთებული პასუხი შეფასებასთან დაკავშირებით.</p> <p>თითოეულ შეფასების დოკუმენტის მიხედვით-შეფასებას აქვს ორმაგი ფუნქცია, ერთი მხრივ იგი გამოიყენება, როგორც სტუდენტის შედეგების მიღწევის საზომი, ხოლო მეორე მხრივ,</p>

როგორც მიღწეული შედეგების შემდგომი გაუმჯობესების საშუალება. ამ მიზნით უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მექანიზმის სახით სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელს შორის უკუგება, რაც გულისხმობს შედეგების ინდივიდუალურ განხილვას და მითითებების მიცემას არსებული ხარვეზების შემდგომში გამოსწორების მიზნით. შეფასების კრიტერიუმებით ხდება სტუდენტების მიღწევის გაკონტროლება, მის მიერ ბარიერის დაძლევა გულისხმობს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ გასაჩივრების და სხვა პროცედურების შესახებ მოწვეული პერსონალი არ იყო ინფორმირებული.

სილაბუსების და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით სასურველია პერსონალის და სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა კრიტერიუმების და შეფასების ადექვატურობის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სასწავლო კურსები
- online UG სისტემა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია მოწვეული პერსონალის ინფორმირება სასწავლო პროცესების შესახებ

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

|| შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☐		

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.

უნივერსიტეტი ელექტრონული სერვისების მეშვეობით აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში, თუმცა უმჯობესია მოეწიოს სტუდენტებისათვის შეხვედრები დამსაქმებლებთან, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს პირადი კომუნიკაცია დაამყარონ დამსაქმებლებთან და გაეცნონ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო თავად პროგრამა მიიღებს გაუმჯობესებულ უკუკავშირის დამსაქმებლებიდან, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ექსპერტთა რჩევას, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის შეხვედრების მოწყობა.

გასაუბრების პროცესში პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმში, აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას, იქნება ეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, თუ კურიკულუმს მიღმა პროექტებში მხარდაჭერა.

საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას. სტუდენტები იღებენ შესაბამის მომსახურებას My UG პორტალის მეშვეობით, სადაც მათ შეუძლიათ თავიანთი შეფასებების გაგება და აპელაცია, ასევე სხვადასხვა სერვისების მიღება.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუზე შეხვდა ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს. ინტერვიურებისას ვერ დადასტურდა მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა თუ საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, თუმცა აღნიშნეს რომ აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში საქართველოში მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ამუშავდა Idealab-ი, სადაც სტუდენტები აქტიურად მუშაობენ თავიანთ სამეცნიერო პროექტებზე, იქნება ეს საბაკალავრო პროექტი თუ სხვა სამეცნიერო სამუშაო.

უნივერსიტეტი თავაზობს სტუდენტებს ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, ინტერვიუსას სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მიიღეს ინფორმაცია გაცვლითი პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობაზე, თუმცა ისინი არ დაინტერესდნენ ამ პროგრამებით. ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ პროგრამა ახალია და რჩევას აძლევს დაწესებულებას გააძლიეროს სამუშაოები სტუდენტების საერთაშორისო პროექტებით დაინტერესებისა და მათში ჩართულობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

